სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ბრძანება № 299

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინვენტარიზაციის ჩატარებისა და საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

1 დეკემბერი, 2015 ქ. თბილისი

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[3] მუხლის პირველი ნაწილის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების"** მე-10 მუხლის მეორე პუნქტის „ფ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ჩატარდეს ინვენტარიზაცია;
2. „ცენტრის" ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების (ძირითადი საშუალებების) მცირეფასიანი აქტივების, მატერიალური მარაგებისა და ფასეულობების ინვენტარიზაციის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) **ლაშა კალაძე** - ცენტრის ადმინისტრაციის უფროსი - საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) **თორნიკე დათიაშვილი** - ცენტრის კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის მთავარი სპეციალისტი -კომისიის წევრი;
   გ) **ლუდმილა მარიდაშვილი** - ცენტრის საფინანსო - საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურის ბუღალტერი (მთავარი სპეციალისტი) - საინვენტარიზაციო კომისიის მდივანი;
   დ) **იზოლდა ჯიქიძე** - ცენტრის კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიის (განყოფილება) უფროსი სპეციალისტი--კომისიის წევრი;
   ე) **ზურაბ ღავთაძე** - ცენტრის განათლებისა და გამოფენების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- -კომისიის წევრი;
   ვ) **მერაბ მეხაშიშვილი** - ცენტრის კომენდანტი-დამხმარე მუშა-კომისიის წევრი;
3. სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყოს 2015 წლის 1 დეკემბერს და დასრულდეს 18 დეკემბერს;
4. დაევალოს საინვენტარიზაციო კომისიისა 2015 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ცენტრის მატერიალური ქონების ინვენტარიზაცია და 2015 წლის 31 დეკემბრამდე შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა;
5. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებმა უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების ცენტრის საჯარო გაცნობის ადგილას გამოქვეყნება და ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორი ზაალ აბაშიძე

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3
ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge